სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

სამეჯლისო და თანამედროვე ცეკვების სტუდია „BT Art"

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 2017 წლის 24 ოქტომბერი

პრეამბულა

უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების, ერთობლივი სანახაობითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სამეჯლისო და თანამედროვე ცეკვების სტუდია „BT Art" თანხმდებიან ურთიერთანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი, აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- საშემსრულებლო მიმართულების სპეციალისტთა მიერ მასტრეკლასების და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- საშემსრულებლო სპეციალობის სტუდენტთა პროფესიული უნარ - ჩვევებისა და დონის ამაღლებას და პრაქტიკული საფუძვლების გაცნობას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას;

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას სახელოვნებო განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს სტუდიის ქორეოგრაფები, უნივერსიტეტის პროფესორები და სასწავლო-შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ ურთიერთშეთანხმებით - უსასყიდლოდ.

1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს.

1.4. მხარეები მონაწილობას მიიღებენ ერთობლივი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების შემუშავებაში.
1.5. განახორციელებენ ერთობლივ სახელოვნებო-შემეცნებით სემინარებს, საკონცერტო წარმოდგენებსა და სხვა პროექტებს.
1.6. სტუდია BT Art-ი საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში ხელს შეუწყობს მოხალისე სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებით ღონისძებებში.

მუხლი 2
2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობას.

მუხლი 3
3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სამეჯლისო და თანამედროვე
ცეკვების სტუდია ,,BT Art" დამფუძნებელი თ. ბერიძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია